თბილისის არქიტექტურა

ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №1014940

ნომერი: AR1134344

თარიღი : 28.05.2013

გაცემის თარიღი : 26.11.2013

გაცნობის თარიღი : 27.11.2013

შედეგი : განუხილველი.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ვაჟა-ფშაველას გამზირი N45 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ნიკოლოზ აბაშიძე პ/ნ 01007000077
- თბილისი ივ.ტურგენევის ქ. N 7

ნომენკლატურა :

- სავაჭრო ცენტრი
- III კლასი
- ახალი მშენებლობა
- ესკიზის წინასწარი შეთანხმება

.სატიტულო ინფორმაცია.:

- .ფუნქციური დანიშნულების სახეობა.: სავაჭრო-საოფისე შენობა
- .მთავარი არქიტექტორის/სპეციალისტი სახელი და გვარი.: ირინა ჩაკვეტაძე

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100, 102-ე მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების თანახმად

გადაწყვეტილება

AR1134344 განცხადების განუხილველად დატოვების თაობაზე:

სამსახურისთვის წარმოდგენილი ვიზუალური მხარე კვლავ არ არის მისაღები და არ ეთანხმება წარმოდგენილი ესკიზის გათვალისწინებით დამუშავებული სრული არქიტექტურული პროექტის წარმოდგენას შესათანხმებლად. სამსახური თვლის, რომ წარმოდგენილი საპროექტო ობიექტის ვიზუალური მხარე საჭიროებს უფრო მეტად გადამუშავება-დახვეწას, როგორც არქიტექტურულ- მოცულობითი თვალსაზრისით, ისე მოსაპირკეთებელი მასალებისა და ფერის გადაწყვეტის ნაწილში ფუნქციის შესაბამისად, სასურველია გამოყენებული იქნას ერთმანეთთან ჰარმონიულად შეხამებული თანამედროვე მოსაპირკეთებელი მასალები და წარმოდგენილი იქნას შენობის მოცულობით-არქიტექტურული გადაწყვეტის ალტერნატიული ვარიანტ(ებ)ი.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.